ქართველ სოციალისტებს.

გოლანდიის მუშათა პარტიის
თავმჯდომისაჲ **ფორიკი.**
(ამსტერდამი).

Parti ouvrier hollandais,
President VOZIRIK.

Amsterdam.

ჟორდანისას გარდაცვალებამ ძალიან დაგვალო-
ნა. ჩვენი ძმური სამძიძარო საქართველოს სოცია-
ლისტურ პარტიას.

(შვეცია).
Pour le parti soc.-démocrate Suedois,
MOELLER.

Suède.

გთხოვთ გადასცეთ ქართველ სოციალ-დემოკ-
რატიულ პარტიას ჩვენი ძმური თანაგრძნობა და
სამძიძარო ნოე ჟორდანისას დაკარგვის გამო.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის
სამდივნოს სახელით **ბრიუტელი.**
(პარიზი).

Pour le parti socialiste français,
BRUTELLE.

Paris.

ჩემი პირადი და დაშნაკუტუიენ პარტიის სა-
ხელით უღრმეს თანაგრძნობას ვიცხადებთ ნოე
ჟორდანისას გარდაცვალების გამო.

ქრება დიდი პიროვნება შიმშორებულ მის ქვე-
ყანას, რომლის ბედს ის განაგებდა დიდ ისტო-
რიულ ხანაში. მის გეარს იცნობენ არა მხო-

ლოდ საქართველოში და კრესეთში, არამედ
მთელ მსოფლიოში. სომხები მსს მუდამ დიდის
პატივისცემით მოვიგონებთ.

სამუელიანი. (პარიზი).
SAMOUELIAN,
Partie Armeniens «Dahnac».

მივიღე მეტად დამალონებელი ცნობა და სწო-
რედ იმ დროს, როცა ჩემი ჯანმრთელობა სა-
შუალებას არ მძალღევს მივიღე და უკანასკნე-
ლად პატივი ვცე მას, რაც წარმავალი იყო პრე-
ზიდენტ ჟორდანისაში. არა მხოლოდ მისი მღმუ-
არებით, რომელიც ამ დღეებში გამოსულა, გა-
ხდება ის დაუვიწყარი, არამედ საერთაშორისო
დემოკრატიულ სოციალიზმის ისტორიაში მუ-
დამ დარჩება დიდი ხსოვნა ყველაფერი იმისა,
რაც მას, როგორც ქართველ ხალხის, ისე მთე-
ლი კაცობრიობის გასანთავისუფლებლად, უბ-
რძილია და გაუკეთებია.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ღრმა მწუხარება ჟო-
რდანისას ოჯახს და ყველა მათ, ვისაც ის ხელ-
მძღვანელობდა და უყვარდა.

ბრაკე.
BRACQUE.

საფრანგეთში მყოფ უცხოელ სოციალისტურ
ორგანიზაციების (ბუნდოელების, სომხების, უნ-
გრელების, ქართველების, პოლონელების, იუ-
გოსლაველების, ისპანელების, იტალიელების და
ბერძნების) ფედერაციის საგანგებო კრების და-
ვალებით უღრმეს თანაგრძნობას უცხადებთ ქა-
რთველ სოციალისტურ პარტიას მისი კლიდერის,
დიდი პატიოტის და დიდი სოციალისტის ნოე
ჟორდანისას გარდაცვალების გამო.

ფედერაციის მდივანი **როზო (პარიზი).**
Le groupe Soc. étranger en France-Rojo.

ბატონ ჩხატუას.

გთხოვთ მიიღოთ ყოველივე ზომები საპატივი-
საცემით ჩვენი ორგანიზაციის სახელით გარდა-
ცვალებული პრეზიდენტის მიმართ.

აბაშიძე, გაჟონია. (ნიუ-იორკი).

რეგებ ჟორდანისას.

ღრმადი დამწუხარებულ მსოფლიო შენთან ვარ.
წერილი ფოსტით.

ქიმი ცინცაძე. (დაკაროი).



რეჟებ უორდანას.

ჩემი მშობლები, ჩემი ოჯახობა და მე გულ-წრფელ თანაგრძობას უცხადებთ მთელ თქვენს ოჯახს, მისი დიდი მწუხარების გამო.

ირაკლი ბატონიშვილი (მადრიდი. ისპანია).

ქართველ ხალხთან ერთად დავსტირი ჩვენი ერის სიამაყის, ნოეს გარდაცვალებას.

დავ. ურატაძე. (მიუნხენი. გერმანია).

ნიკო ურუშაძეს.

დიდათ დაგვამწუხრია პრეზიდენტი ნოე უორდანას გარდაცვალებამ. გთხოვთ გადასცეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძობა მის ქვრივს და ჩვენს მთავრობას.

მღვდელ-მთავარი ინგილა და კაპიტანი გოგიაჯანიშვილი (მადრიდი).

ნიკო ურუშაძეს.

ქართული საზოგადოება ინგლისში ღრმა მწუხარებით აღნიშნავს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე უორდანას გარდაცვალებას და უგზავნის მის ოჯახს უღრმეს თანაგრძობას. მისი ღვაწლი სამშობლოს წინაშე დაუვიწყარი იქნება ქართველი ერის მეხსიერებაში.

საზოგადოება (ლონდონი).

გენ. ზაქარიაძეს.

ქალბატონი და ბატონი კლკი უცხადებენ აბონდანის ქართველებს მათ უღრმეს თანაგრძობას თავისუფალი საქართველოს პრეზიდენტის ნოე უორდანას გარდაცვალების გამო.

ჩვენი მწუხარება განუზომელია.

ქნი და ბ-ნი კუკი. (აბონდანი).

მ. სტურუას.

გთხოვთ ჩვენი ოჯახის დავალებით გადასცეთ ჩვენი დიდი მწუხარება ჩვენი დიდი ლიდერის ნოე უორდანას გარდაცვალების გამო მის ოჯახობას და ქართულ მთავრობას.

ქუთათელაძე, კიკვიძე, თამარ კობიაშვილი (ლონდონი)

პ. სარჯველაძეს.

თანაგრძობთ იმ აუნაზღაურებელ დაკარგვაში, რომელიც ნოე უორდანას გარდაცვალებამ მიაყენა მთელ ქართველ საქმეს.

ვ. ნანუაშვილი. (ნიუ-იორკი).

პ. სარჯველაძეს.

მეტათ სამწუხარო იყო ჩვენთვის, აქ მყოფ ქართველებისათვის ნოე უორდანას გარდაცვალება. უდავოა, რომ მისი დაკარგვა, განსაკუთრებით დღეს როდესაც მისი სახელი, სეტორიტეტი, მისი გამოცდილი ხელი ასე საჭირო იყო საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლისათვის — განუზომელია.

დარწმუნებული ვართ, რომ საქმე რომელსაც ნოე უორდანასმ შესწირა თავისი სიცოცხლე, — ღირსეულად გაგრძელებული იქნება მის მიერ დატოვებულ მთავრობის მიერ და გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ვენეცუელაში მცხოვრები ქართველები.
ქ. კარაკასი.

დიდათ ვსწუხვართ ნოე უორდანას დაკარგვას. ჩვენ იმ წრეში ვართ, რომელიც საზღვარგარეთის სოც.-დემ. ორგანიზაციის გაყოფის შემდეგ ვანსვენებულის მობრუნებამდე შეიქნა და მის ემიგრანტულ მუშაობაში ბევრი რამ მიუღებლათ მიაჩნდა.

მაგრამ ესლა, როცა ვანსვენებულის საფლავის სიცივეშია, ჩვენს წინ სდგას მთელი მისი პიროვნება და ცრდილი მოღვაწეობა. და შეწუხებული ვგრძობთ, რომ მისის სახით დაიმარხა კაცი, რომელმაც დაიწყო პატარა წრიდან, შეკქმნა სოც.-დემ. მუშათა პარტია, ატარა შინ და გარეთ სახელოვანი და ბრწყინვალე გამარჯვების გზით, მოაქცია გაერთიანებული მშრომელი ხალხის სათავეში და თითონ შეიქნა მთელი ქვეყნის საყვარელი წინამძღოლი.

ამ ყამად ვანსვენებულმა სამარეში ჩაიტანა ზიზლი ბოლშევიზმისადმი და სურვილი მისი წაქცევის. გაჭრილი ნოე უორდანას საფლავი, ბოლშევიზმის ერთი იმ ცოდვთაგანია, რომლის სიმძინემ ის უნდა დასცეს.

რ. ყიფიანი, ვ. დოლიძე, კ. რიუამაძე.

სოიზო.

საქ. ს.-დემ. პარტიის საზ. გარეთელ ბიუროს.

თქვენთან ერთად ღრმად განვიცდი იმ მწუხარებას, რომელიც გამოიწვია პარტიის სულის ჩამდგმელოს, მისი უბადლო ხელმძღვანელის და მთელი ქართველი ერის ბელადის პრეზიდენტ ნოე უორდანას მოულოდნელმა გარდაცვალებამ.

ღრმა პატივისცემით **გ. ნაკაშიძე.**
(არგენტინა).



ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი :

კვირას, 11 იანვარს 1953 წელს, დილის სამ საათზე, მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. ვანგში

საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის პრეზიდენტი და ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე

ნ ო ე შ ო რ დ ა ნ ი ა

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრები.

კვირას, 11 იანვარს 1953 წ., დილის სამ საათზე უეცრად გარდაიცვალა

საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის პრეზიდენტი

ნ ო ე ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს - ძ ე შ ო რ დ ა ნ ი ა

რასაც აუწყებენ საზოგადოებას ღრმად დამწუხრებული მეუღლე შვილებით, შვილი-შვილებით და სიძეებით. დაკრძალვა ხუთშაბათს, 15 იანვარს, სამ საათზე ვანვის სასაფლაოზე. გამოსვენება — თავის ბინიდან: 11, ქუჩა სოლფერინო, ქ. ვანვი.

კვირას, 11 იანვარს 1953 წელს, დილის სამ საათზე, მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. ვანგში

საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის პრეზიდენტი და ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე

ნ ო ე შ ო რ დ ა ნ ი ა

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

კვირას, 11 იანვარს, დილის სამ საათზე, უეცრად გარდაიცვალა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ნ ო ე ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს - ძ ე შ ო რ დ ა ნ ი ა

რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას დაკრძალვის მომწყობი კომისია.

თანახმად განსვენებულის სურვილისა—არ იქნება არც ყვავილები, არც გვრგვინები და არც საიტყვები.

გამოსვენება მოხდება განსვენებულის ბინიდან, 11, ქუჩა სოლფერინო, ქ. ვანვი, ხუთშაბათს, 15 იანვარს, დღის 3 საათზე. საათზე, ვანვის სასაფლაოზე.

კვირას, 11 იანვარს 1953 წელს, დილის სამ საათზე, მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. ვანგში

საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის პრეზიდენტი და ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე

ნ ო ე შ ო რ დ ა ნ ი ა

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას პარიზის ქართულ სათვისტომოს გამგეობა.

კვირას, 11 იანვარს 1953 წ., დილის სამ საათზე, ქ. ვანგში, უეცრად გარდაიცვალა საქართველოს სოციალ - დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი და მისი უცვლელი მეთაური

საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის პრეზიდენტი და ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე

ნ ო ე შ ო რ დ ა ნ ი ა

რასაც ღრმა მწუხარებით აცხადებს საქართველოს სოციალ - დემოკრატიული პარტიის საზღვარ - გარეთელი ბიურო.

კვირას, 11 იანვარს 1953 წელს, დილის სამ საათზე, ქ. ვანგში, უეცრად გარდაიცვალა საქართველოს სოციალ - დემოკრატიული პარტიის ბელადი

ნ ო ე შ ო რ დ ა ნ ი ა

რასაც მწუხარებით აცხადებს პარიზის სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი და გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.



საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ - გარეთელ ბიუროს.

სამგლოვიარო წლისთავი

თავზარდამცემი ცნობა დაგვიხანებით მივიღე. ამ დიდ გლოვაში მეც თქვენთან ვარ. ყველა ერთად შემოგვკრბეთ და ძმურათ ვიმუშავოთ იმ ჩვენს ეროვნულს, სოციალურს და საკაცობრიო მიზნების მისაღწევათ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნოე ჟორდანია.

რადგან ნოეს 85 წლისთავის აღნიშვნა უკვე დანიშნული იყო 18 იანვრისათვის, მისმა ოჯახმა მოისურვა ანდლეს მანც მოეწყო ახლობელ ამხანაგების შეხვედრა, რაიცა კიდევაც შესდგა.

6. იმნაიშვილი.

სამგლოვიარო სუფრის სათავეში იღვა ცარიელი სავარძელი, რომელზედაც ამ დღეს ჯდებოდა განსვენებული. სუფრის მეთაურობა ნოეს მეუღლემ სთხოვა ბ. კ. კანდილაკს, რომელმაც მოკლე და მეტად მგრძობიარე სიტყვით მიმართა დამსწრეთ და პირველი სიტყვა ნოეს მეუღლე ინას მისცა.

სოც.-დემ. პარტია.

დიდის მწუხარებით გავიგე ჩვენი ნოეს, მთავრობის თავმჯდომარისა და ს.-დ. პარტიის ხელმძღვანელის გარდაცვალება. ესტირი მის ვაწუხომელი დაკარგვას. დაეცა ბუმბერაზი. ქართული ერთი ძაძებით იმოსება. მისი ცხოვრება იყო მთელი ეპოქა საქართველოს ისტორიაში. მადლიერი ვართ მთავრობებს რა მკაცრ მტერს ღირდათ დააფასებს მის ღვაწლს და აღვებს უცდავ ძეგლს. ძლიერ ვნანობ რომ არ შემიძლია დავესწრო დასაფლავებას.

ქნმა ინამ შინაგანი გლეჯარებით, მარა ვარუგნულათ მეტად დამწვიდებით, მოუთხოო დამსწრეთ ბევრი რამ საინტერესო ნოეს ცხოვრების უკანასკნელ დღეებიდან და ღრმა რწმენით გამოსთქვა ის აზრი, რომ ნოეს მეგობრებს უნდა სწამდეთ, რომ მას ამიერიდან კიდევ მეტი შემთავრებელი გავლენა ექნება, ვიდრე დღემდე, როცა ის ფიზიკურათ ჩვენთან იყო. ნოეს წარმოებული ბრძოლა უნდა გავრძილდეს კიდევ მეტი ენერჯით, ამისთვის კი უმთავრესია ვიყოთ ყველა ერთად, და თავისი სიტყვა დაათავა წინადადებით—დაასრებულ იქნეს ნოეს სახელობის კლუბი, სადაც ახალგაზრდობა გაეცნობა და შეისწავლია ნოეს ნაწერებს, რაც ხელს შეუწყობს მათ სათანადო მომზადებას მომავალი მუშაობისათვის.

ექიმი ანტონ უორჟოლიანი.
(გარუნი. საფრანგეთი).

პარტიულ ამხანაგებს.

ჯულ - დამწუხარი, სევდიანპრობილი, თქვენთან ერთად, ღრმათ განვიციდი ჩვენი უბადლო ბელადის, ანხანაგ ნოეს სამღვანო მანშორებას. პირველი ჩვენი სამძიმარი ჩვენს ბედკრულ სამშობლოს, რომელმაც დაკარგა თავის შეუდარებელი მეთაური. საერთო უბედურება გარდაუვალათ გვიბრძანებს დავივიწყოთ ყოველივე პირადული და გავლურს, შევკრათ და შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები და ჩვენებურათ, ძველებურათ, განუვარძლოთ ის გზა, რომელზედაც სამოცი წლის განმავლობაში ასე ბრწყინვალეთ გვიძლიდა ჩვენი უდიდესი მეთაური და მეგზაური. ჩვენი ქარავანი ჯერ კიდევ გზაშია და არ უნდა შეჩერდეს არც ერთი წუთით, სანამ არ აღსდგება ჩვენი ქვეყანა და ისევ არ გახდება თავისუფალი და დამოუკიდებელი.

შემდეგ განსვენებულის სიძემ ლევან ფალავამ, თავის მხრივ, ბევრი რამ გაუხიარა დამსწრეთ, ნოესთან უკანასკნელ ხანებში მუსაფიდან. სიტყვები წარმოსთქვეს კ. გვარჯალაძემ, ტ. წულაძემ, ს. ბლიაძემ, ე. ინწკირველმა, ბ. წულაძემ და კ. ინასარმა.

შვიდ საათზე მეტი იყო, რომ კ. კანდილაკმა შესაფერი სიტყვით სამგლოვიარო შეხვედრა დასრულებულიათ გამოაცხადა.

ავათმყოფობის გამო ამ შეხვედრას ვერ დაესწრო ევ. გეგეჭკორი, მარა წაკითხული იქნა მისი წერილი ქნ ინას სახელზე, სადაც გამოსთქვამდა ღრმა მწუხარებას, რომ ავათმყოფობის გამო ამ ინტიმურ სამგლოვიარო შეხვედრას ვერ დასწრება.

ღრმა მწუხარებით გრ. ურატაძე.
(პარიზი).



ნ ო ე შ ო რ დ ა ნ ი ა ს ხ ს ო ვ ნ ა ს

(სამგლოვიარო დღე სხვა და სხვა ქვეყნებში)

მ ი უ ნ ხ ე ნ ი (გერმანია)

31 იანვარი დაჩრება დაუფიქარ დღეთ გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა ხსოვნაში. ამ დღეს ადგილობრივმა ქართულმა კოლონიამ და აქ არსებული ქართულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა შეთანხმებულად მოაწყვეს მიუნხენის თვითმართველობის ისტორიულ დარბაზში სამგლოვიარო დღე, ახლად გარდაცვალებული საქართველოს მეთაურის და პრეზიდენტის ნოე ყორღანისა ხსოვნის აღსანიშნავად.

სრულ სამ საათზე დარბაზი მოწყველი სტუმრებით გაავსო. მოსულთა შორის იყვნენ: გერმანიის ფედერაციული და ბავარიის პარლამენტების დეპუტატები, მიუნხენის თვითმართველობის საბჭოს წევრები, გულზე ყვითელი ჯაჭვებით, გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის დელეგატები, ლტოლვილთა სამინისტროს რწმუნებულები, ამერიკულ და ბელგიის საკონსულოებიდან წარმოგზავნილი პასუხისმგებელი მოხელეები, ამერიკულ კომიტეტის რწმუნებული, უკრაინულ რაიონის ეკსეკუტივის მთელი შემადგენლობა და ბარანის მეთაურობით, გერმანიაში არსებულ პოლიტიკურ თუ ეროვნულ ორგანიზაციების რწმუნებულები, ამერიკულ კომიტეტთან ნომულავე, საკოორდინაციო ცენტრი პროფ. მელგუნოვის მეთაურობით, ABN-ი (ანტიბოლშევიზიური ფრონტი ხალხებისა) და „კავკასი“-ს ჯგუფი.

წარმოდგენილი იყო აგრეთვე პრესა, როგორც გერმანული, ისე ემიგრანტული და ბავარიის რადიო - სადგური.

დარბაზი მორთული იყო საქართველოს დროშით და ღერბით. შუა კედელზე ჩამოკიდებული იყო დიდი გვირგვინი გერმანიის სახელმწიფო ფერების ლენტზე წარწერით, წარმოგზავნილი გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის მიერ. გვირგვინის წინ მაგიდაზე იდგა განსვენებულის დიდი სურათი, რომელიც იპყრობდა საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას.

მუსიკალური ნაწილის შესრულების შემდეგ სამგლოვიარო სხდომას ხსნის ბ. გიორგი ნალაიშვილი, რომელმაც სტუმრების მისალმების შემდეგ, მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის.

მთავარ მომხსენებლად ნოე ყორღანის პიროვნების დასახასიათებლად გამოვიდა განსვენებუ-

ლის პატივცემული და მეგობარი მოხუცი ნიხილ წერეთელი, რომლის მოხსენება საზოგადოებამ დიდი ყურადღებით მოისმინა შემდეგ ილაპარაკა ნოე ყორღანისა მთავრობის ყოფილმა წევრმა რაჟდენ არსენიძემ, რომელმაც თავისი სიტყვა დააბოლოვა ასე: „საქართველო იყო დამოუკიდებელი და იქნება დამოუკიდებელი“.

უცხოელებიდან პირველად ილაპარაკა გერმანიის სოც. - დემოკრატიული პარტიის სახელით, ბავარიის პარლამენტის დეპუტატმა ვ. ტიმემ რომელმაც თავის ფრიად საინტერესო და ღრმა შინაარსიან სიტყვაში შეეხო რა საქართველოს ისტორიულ განვითარებას ძველი დროიდან, — დასძინა, რომ საქართველოს დიდი შვილს ნოე ყორღანისა — ბედმა არგუნა მთელი რიგი ქართველთა თაობების მისწრაფება — საქართველოს სუფერუნულ უფლებების აღდგენა — 1918 წელს სისრულეში მოეყვანა...

ბ. ტიმეს შემდეგ ილაპარაკეს: საკოორდინაციო ცენტრის სახელით ბ. ნიკოლაევსკიმ, უტოლვილთა სექსუატარიატის რწმუნებულმა Dr. Priler-მა, უკრაინული რაიონის წარმომადგენელში მინისტრმა დ. ანდრეევსკიმ, გერმანიაში არსებულ ლტოლვილთა ცენტრალური კავშირის პრეზიდენტმა პოლონელმა სუბანგ-სუბეცკიმ, კახეთის ხელმძღვანელობის სახელით — ბ. ნიკოლაევმა, უკრაინულ სოციალისტურ პარტიის დელეგატმა — ი. ე. დოვგალმა, აზერბაიჯანულ სოციალი სტურ პარტიის სახელით შეიხ-ულ-ისლამოვმა, კავკასიელების სახელით — ვაჩე ამგვიანმა და რევოლუციის ხანაში თბილისში ნაცხოვრებმა რუს მოღვაწემ კ. ქრომიადმა, რომელმაც აღნიშნა, თუ რადიდ იმედს ამყარებდა ქართველი ერის ნოე ყორღანისაზე იმ ხანებში...

დაბოლოს ილაპარაკა ნიკო ნაკაშიძემ, რომელიც თავის მჭერმეტყველურად წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ნოე ყორღანისა ჯერ კიდევ 1915 წელს იყო ცნობილი ქართველი ერის მეთაურად და ხელმძღვანელად; და დასამტკიცებლად მოიყვანა ერთი მაგალითი: როდესაც საქართველოში გარდაიცვალა ერთი უდიდესი ქართველი პოეტი (მხედველობაში ყავდა აკაკი), ყველა ქართველმა პარტიებმა და საზოგადო ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს პოეტის საფლავზე დაედგათ მხოლოდ ერთი გვირგვინი ქართველი ერის სახელით, ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი, რომელიმაც ერის სახელით მიენდობო-



და ამ მისიის შესრულება? ამ შენებზევეაში ყველას ფიქრები იყო მიპყობილი ნოე უორდანიასკენ.—და მართლაც, ერის სახელით მას დაევალება ფრიად საპატიო მოვალეობა...

ნიკო ნაკაშიძის გამოსვლით დამთავრდა სიტყვების წარმოთქმა. შემდეგ თავმჯდომარე აცნობს საზოგადოებას ზოგიერთ მოსულ სასამხმრო წერილების შინაარსს...

სამგლოვიარო წერილები გამოგზავნეს: გერმანიის ფედერატიული და ბავარიის პარლამენტების პრეზიდენტებმა ბ.ბ. Dr. H. Heller-მა და Dr. A. Hundamer-მა, ბავარიის პარლამენტის ყველა ფრაქციებმა, ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტის მოადგილემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა Dr. Houdner-მა სტატუსკვრეტარმა Dr. Oberländer-მა, მიუნხენის ქალაქის მოურავმა Th. Wimmer-მა, ამერიკულ გენერალურ კონსულმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის შეფმა ბარონ Herwart-მა და სხვ...

დასასრულ მოსიკა ასრულებს ჰენდელის ლარგოს და საზოგადოება ნელ-ნელა სტოვებს დაბრახს...

ბავარიის რადიო-სადგურმა იმ საღამოსვე გადასცა სამგლოვიარო სხდომის ანგარიში. საერთოდ კი სამგვრ იყო გადაცემული რადიოთი ცნობა ნოე უორდანიას გარდაცვალების შესახებ. აგრეთვე შესაფერი ცნობები სამგლოვიარო სხდომის შესახებ იყო მოთავსებული რადიო-გერმანულ იდე ემიგრანტულ პრესაში...

უცხოეთში—ბავარიის დედა-ქალაქში მართლაც ღირსეულად ჩატარდა ეს ჩვენი ეროვნული გლოვის დღე (ამას სტუმრებიც კი აღნიშნავენ) და ამას უნდა უმადლოთ, პირველად ყოვლისა, ჩვენ სტუმრებს და განსაკუთრებით კი გერმანულ მეგობრებს, რომელთაც თავისი აქტიური მონაწილეობით ამ საქმის მოწყობაში — კიდევ ერთხელ ამკარად ვამოაძევენ თავისი სიმპატიები ქართველი ერის მისწრაფებისადმი — იყოს თავის-თავის პატრონი.

დაარწმუნებული ვართ. მონობისაგან იანთავისუფლებული ქართველი ერი თავის დროზე მადლობას მიუძღვნის ყველა მათ, ვინც მის ტყვეობაში ყოფნის დროს მას არ იუწყებდა და ეჭომაგებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ სამგლოვიარო სხდომაზე წარმოდგენილნი სხვა და სხვა ორგანიზაციები — თავის დილიურ ბუზაობაში ხშირად ერთიმეორის წინააღმდეგ სასტიკად დაპირისპირებულნი — ამ დღეს გაერთიანებულნი თავის გრძნო-

ბებში ჩვენი დიდი მიცვალებულისადმი. შეიკრიბნენ დაბაზში მისი ხსოვნის პატივსაცემლად და სადიდებლად...

ქართველობა კი გაერთიანებული ამ ეროვნულ გლოვაში, ვიმედოვნებთ მომავალშიც ქართველი ხელმძღვანელობის ირგვლივ დაარსებული, შეერთებული ძალებით განაგრძობს იმ დიად საქმეს, რომელსაც განსვენებული ასე თავგამოდებით ემსახურებოდა თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე...

ალ. კობია.

იკიდანვე. 17 იანვარს გაიხსნა საკოორდინაციო ცენტრის პოლიტიკური კომისიის პლენუმი. პლენუმის განხილვისას, საკოორდ. ცენტრის ბიუროს თავმჯდომარემ აუწყა პლენუმს ნოე უორდანიას გარდაცვალება და სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მისი ხსოვნისათვის.

ბ ე ლ გ ი ა .

როგორც კი მიიღო ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელმა მ. ტუღუშმა სამწუხარო ცნობა, მაშინვე გადასცა ბეღელის რადიოს, რომელმაც იმავე დღესვე აცნობა თავის მსმენელებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე უორდანიას გარდაცვალება, მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით. ყველა სოციალისტურმა გაზეთმა და ბევრმა არასოციალისტურმა, ვრცელი წერილები უძღვნეს განსვენებულს. ზოგმა სურათიც მოათავსა. სოც. პარტიის ცენტრალურ ორგანო „Le Peuple“-ში მოთავსებულია ჩვენი თანამემამულე მარკ იბერეს ვრცელი წერილი, განსვენებულის პოლიტიკური-პარტიული-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

ლ ო ნ დ ო ნ ი

19 იანვარს, ქართული საზოგადოების გამგეობამ ლონდონში, გადაიხადა პანაშვიდი განსვენებული ნოე უორდანიას შესახებ, რომელსაც დაესწრო ასამდე ქართველი. ამ პანაშვილის შესახებ პოლონური გაზეთი „დშენიკ პოლსკი“ (№ 31) გადმოგვცემს შემდეგს: პანაშვიდი ვადიხადა პოლონეთის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის მიტროპოლიტის თანამდებობის აღმასრულებელმა ეპისკოპოსმა, ეპისკოპოსმა მათემ, მშვენიერი იუნდის და დიდხალი-საზღვდე-

ლოების თანამსახურებით. პანაშვიდს დაესწრო პოლონეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი მინისტრი ი. სტაჟევსკი და დიდძალი პოლონური საზოგადოება. დაესწრენ კავკასიის ერების წარმომადგენელი: ჩერქეზები, ოსები, ჩრდილო-კავკასიელები, უკრაინის წარმომადგენელი ბ-ნი ა. ბონდაროვსკი და სხ.

ნეკროლოგი და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მოთავსებული იყო მთელ რიგ გაზეთებში, როგორც ინგლისურ, ისე ემიგრანტულში.

ა მ ე რ ი კ ა .

ამერიკის რადიო „ხმა ამერიკისა“-მ გარდაცვალების მთორე დღესვე გადასცა ყველა ქვეყნებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ნოე ყორდანისა გარდაცვალება. ბევრმა გაზეთებმა მოათავსეს ბიოგრაფიული ცნობებთან ერთად ვრცელი წერილები განსვენებულის მოღვაწეობის შესახებ. ემიგრანტულ გაზეთებში—რუსულში, პოლონურში, უკრაინულში, სომხურში და სხ. დაიბეჭდა მთელი რიგი წერილებისა სხვადასხვა ეროვნების ცნობილ მოღვაწეთაგან მოგონების სახით.

ადგილობრივი ქართული კოლონიის გამგეობამ არ დაიშურა შრომა, რომ თავის სამშობლო ქვეყნის პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებას ღირსულათ ყოფილიყო აღნიშნული. პირველყოფლისა გადახდილ იქნა პანაშვიდი ბერძნულ ეკლესიაში, რომელსაც გარდა ქართველებისა დაესწრენ ბევრი სხვადასხვა ერების პასუხისმგებელი წარმომადგენელი. პანაშვიდის შემდეგ ბერძნული ეკლესიის უმაღლესმა პირმა მიხაელმა, წარმოსთქვა ინგლისურ ენაზე სიტყვა, რომელშიდაც მშვენივრად დაახასიათა ქართველი ერი და მისი პრეზიდენტი.

25 იანვარს, გამგეობამ სასტუმრო „კომოდორ“-ში მოაწყო სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც დაესწრენ: სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო-კავკასიის, უკრაინის, ლატვის წარმომადგენელი და პოლონეთის ელჩი ბ-ნი ლიპსკი, (წარმომადგენელი პოლონეთის ეროვნული მთავრობის), ბ-ნი გრუბიკი (ეროვნული საბჭოს განყოფილება ამერიკაში) და ბ-ნი კორბინსკი (პოლონეთის პოლიტიკური ცენტრი ამერიკაში) და სხვ.


ამ პანაშვიდის შესახებ პოლონური გაზეთი „დ. პოლ.“-ში (№ 25) მოთავსებულია წერილი სათაურით: „სასიქადულო მაგალითი ნიუ-იორკის

პოლონელების“. ამ „სასიქადულო მაგალითი“ გაზეთი ხედავს იმაში, რომ ნოე ყორდანისა სამოქალაქო პანაშვიდზე ნიუ-იორკში პოლონელ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ცალ-ცალკე კი არ ილაპარაკეს, არამედ მიანდეს ერთ პირს, ბ-ნ გრუბიკს, ელაპარაკა განსვენებულის შესახებ მთელი პოლონელი ერის სახელითო. გაზეთი დიდძალ კმაცოფილებით აღნიშნავს, რომ ამ დიდ ქართველის პატივსაცემათ ყველა ჩვენი პოლიტიკური მიმართულებანი ერთ ხმად და ერთ სულოვანად გამოვიდენ. სასწოვსკის მოწოდების შემდეგ პირველათ ხდება ჩვენი პოლიტიკური პარტიების შეერთებული გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე და ეს „სასიქადულო მაგალითი“ მოხდა დიდი ქართველი ნოე ყორდანისა გადარდაცვალების გამო და სხ.

ი ს ტ ა მ ბ უ ლ ი .

ქართულ ეროვნულ კომიტეტის წარმომადგენელი ოსმალეთში ს. მენაღარი ინახულეს და თანამგერძობა განოუცხადეს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ყორდანისა გარდაცვალების გამო: ამერიკის საკონსულოდან ბ.ზ. რუხველტმა და პირსმა, პოლონეთის ყოფ. კონსულმა კილჩინსკიმ, რუმინეთის ლეგაციის ყოფილ მრჩეველმა პროფ. დეიჩემ, იუგოსლავიის კოლონიის წარმომადგენელმა ბ. დუმეზჩან, ალბანეთის ნაც. კომიტეტის წარმომადგენელმა გაზი-ხანმა, რასულ-ხადეს ჯგუფმა სტამბოლში — სელიმ-ხეიმ და მირზა ბალამ, მთის წარმომადგენელმა შამილმა და მამედ-გორიემ. ს. მენაღარმა მიიღო აგრეთვე წერილობით თანამგერძობა ამერიკის და ინგლისის კონსულებიდან.

სტამბულოში არსებულმა ფრანგულ გაზეთ „ისტამბულ“-მა და თურქულ „ჯუმურიეთმა“ ერცელი წერილები უძღვნეს განსვენებულს. თურქულმა სააგენტომ რადიოთი გადასცა გარდაცვალების მეორე დღესვე ცნობა, სადაც ასე ახასიათებდა ნოე ყორდანისა პიროვნებას: „ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი რევოლიუციონური წარსულის მქონე — იყო შემქნელი და ორგანიზატორი საქართველოს დამოუკიდებლობის. ხოლო წითელ ჯარების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, გადმოხიზნული უცხოეთში, მთელი თავისი იწერგით განაგრძობდა ბრძოლას მოსკოვის წინააღმდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ...“.



სერგო ღონღუას.

... სწორეთ იმ ღამეს, რა ღამესაც გარდაიცვალა პრეზიდენტი ნოე ჟორდანიას, დამესიზმრა, რომ მის დასაფლავებაზე ვიყავი. ძალიან ბევრი ხელხი იყო. როდესაც კუბოს სდებდენ საფლავში, ის გასარილდა და გატყდა. შიგ ალარხფერი აღარ იყო. მე შევკრთი და წამოვიძახე: — რას ნიშნავს ეს? რატომ ცარიელია? ივგებ მისი გული სხვა ქართველის გულში წავიდა, რომ გააფრთხლოს მისი მუშაობა, ანდა მარხავდენ კაცს, რომ

მელიც არ მომკვდარა — მეთქი! დავიწყე ტირილი, რატომ არ ვიცი! ხომ არ შევიძლია ამხსნა — რას ნიშნავს ყოველივე ეს? მე მგონია რომ ეს ნიშნავს იმას, რომ ისედაც ჩვენთან და გვეყრნება გაგავრძელოთ მისი მუშაობა!..“ *)

*) ეს წერილი მოუწერია ს. ღონღუასათვის მის პატარა მეგობარ გივი გელაშვილს, რომელიც სწავლობს ლიტერაში და ჯერ კიდევ 14 წლის არი აწის.

უცხოეთის პრესა ნოე ჟორდანიას შესახებ *)

ამიბრანტთა ოპოზიცია

მათ შორის ის იყო უხუცესი და უპატივცემული. შეუძლებელი იყო იმის გარჩევა თუ რა უბრალო ხისაგან იყო გაკეთებული მისი კუბო, იმდენად დაფასული იყო ის ქრონული დროშით და მისი მღვდნობის უმნიშვნელოვანეს მომენტების სურათებით.

მის პატარა, ღარიბად მოჩთულ ვარეთ - უბნის ბინაზე, სადაც გადახდილ იქნა პანაშვიდი, მგლოვიარე საზოგადოება — მეგობრები და მოწინააღმდეგენი, რიცხვით 400 კაცი — ვერ პოულობდა ადგილს. სამოციოდე პირი, მდიდარი თუ ღარიბი, შეჯგუფებულიყო დაბალ საჩითულის ორ პაწია ოთახში, ზოგიც თავიჩინდრული ჩუმად იღვავებოდა კიბის საფეხურებზე. ახალგაზრდა ორტოდოქს მოძღვარმა წარმოსთქვა პატარა სიტყვა. პატარა ხორხომ შესარულა ძველი საეკლესიო გალობანი. თითქოს იდუმალ მიცემულ ნიშანზე ერთბაშად ჩაჰქრა დამწერეთა ხელში ანთებული სანთლები.

პანაშვილის დასთავრების შემდეგ კუბო დასვენებულ იქნა სამგლოვიარო კათაფალკაზე, რომელიც შავად მოჩთულ ცხენებმა წელი ნა-

ბიჯით ცივ უცრემლო ცის ქვეშ, ჩაატარეს ვარეუბნის ნაცრიის ფერა ქუჩებზე.

ყრძელი და წელი პროცესიის გატარებას ტრეტუარიდან მგლოვიარეთა ყურს ხედებოდა მწუხრი ჩურჩული: „ვინ იყო იგი? თეთრ - წვერებიანი ნოხუცი მუზობელ ქუჩიდან. ვინ იყო იგი? ვინმე პრეზიდენტი“.

ეს იყო ნოე ჟორდანიას, საქართველოს თავისუფალი რესპუბლიკის პრეზიდენტი, ემიგრაციის უხუცესი, 85 წლის მოხუცი ჩამეხვეულ იქნა საფლავში მისი მინისტრების თვალწინ და ოპოზიციის ლიდერმა პატივისცემით მიაყარა მიწა მის კუბოს.

საფლავის გვერდით თავმოხდილნი იდგნენ: Quai d'Orsay-ს ოფიციალური წარმომადგენელი და სომხეთის, ბელორუსიის, უკრაინის, აზერბაიჯანის და პოლონეთის ემიგრაციის დელეგატები. ბევრი იყო მათში პრეზიდენტის პოლიტიკური მოწინააღმდეგე, მაგრამ ამ დღეს ყველა გაერთიანებული პატივისცემით ესწრებოდა ამ დიდი და კეთილშობილი მოხუცის დასაფლავებას, რომელიც დღეს განისვენებს პარიზის ვარეთ, საბჭოთა ჯარების მიერ მისი სატახტო ქალაქის დაპყრობის გამო, 32 წლის გაღმოსვენელობის შემდეგ.

დენის ზლადუორთ.

«The Observer»,

15 თებერვალი, 1990 წელი.

*) ყველა ქვეყნების გაზეთებმა უძღვნეს წერილები ნოე ჟორდანიას გარდაცვალებას. მოგვყავს აქ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

რედ.





გადმოხვეწილი პრაქიციონტის გარდაცვალება

პარიზი. 11 იანვარი. დღეს გარდაიცვალა გადმოხვეწილობაში 85 წლის მოხუცი ნოე ყორღანია, პირველი პრეზიდენტი საქართველოსი, სადაც დაიბადა სტალინი.

ბ-ნი ყორღანია აჩრეულ იქნა საქართველოს პირველ და ერთად - ერთ პრეზიდენტად 1918 წ. დამოუკიდებლობის აღიარებისას კერესნის რევოლუციის ერთი წლის შემდეგ. მან შექმნა რესპუბლიკა შექრთებულ შტატების კონსტიტუციის მაგალითზე.

1921 წელს, როცა საბჭოები შეესიენ და შეიერთეს საქართველოს ტერიტორია, იგი შეეხიზნა საფრანგეთს. ის იყო დაბადებული გურიაში, სოფ. ლანჩხუთში. ის არ შეურიგდა რესპუბლიკის ანექსიას საბჭოების მიერ და განაგრძობდა გადმოხვეწილობაში მისი მთავრობის მუშაობის ხელმძღვანელობას.

«New-York Times».

12 იანვარი 1953 წ.

ერთი ქართველის გარდაცვალება

ნოე ყორღანია, რომლის გარდაცვალება სამი ათეული წლით მოსდევს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის განადგურებას საბჭოთა ჯარების მიერ; იგი ამ რესპუბლიკის პირველი ერთადერთი პრეზიდენტი იყო. 1918-20 წლებში ბ. ნოე ყორღანიამ თავის თანამშრომლებთან ერთად შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც მისცა ქართველ ხალხს საშუალება თვით განეკავებინათ ცხოვრება თავისუფალი უცხო გავლენისაგან; რესპუბლიკა ზომიერი ხელმძღვანელობით, რომელიც მისაბამ მაგალითად შეერთებულ შტატების და მის კონსტიტუციას ისახავდა.

დიდი ხანი არაა, რაც საბჭოთა კავშირმა სს.რ. კავშირის დაარსების 30 წლის თავი გადაიხადა. ხოლო საბჭოთა პრესას დაავიწყდა აღენიშნა, რომ მხოლოდ შეიარაღებულმა ძალამ შეიყვანა საქართველო, უკრაინა და სხვა შემადგენელი რესპუბლიკები დღევანდელ საბჭოთა სახელმწი-

ფოში, მან არც ის სთქვა, რომ არა რუს ერების კომუნისტ ლიდერთა უმრავლესობა, რომლებმაც იბრძოლეს თავიანთი ხალხების საბჭოთა კავშირში შესაყვანად, დიდი ხანია განადგურებულ იქნა, როგორც სტალინის, ამ ველიკორუსულ ნაციონალისტად მოვლენილ ქართველის რუსი-ფიკაციულ პროგრამის ნაწილი. ბ-ნ ყორღანიას და მის თანამედროვეთა მოღვაწეობა უცხო ქვეყნებში, ზერეღედ განხილული, მარცხად მოგვეჩვენება. მაგრამ მათ დასწერეს ისტორიის ერთი გვერდი, რომელიც დავიწყებული არ არის და მკორე გვერდი, რომელიც იძლევა მასალას დღევანდელ საბჭოთა კავშირის ხალხების ერთად ცხოვრების საკითხის შესასწავლად მონსვალში, როცა დღევანდელი ტირანია დაჩრება მხოლოდ მოგონებაში.

«New-York Times».

15 იანვარი 1953 წ.

ნოე ყორღანია

პირველად ამ მშვენიერ პიროვნებას შეგვხვია 1920 წელს ზაფხულზე კავკასიის მთების შუა მდებარე აზასთუმანში

ნოე ყორღანია ამ დროს იყო საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ჩემი მასთან შესვლისას მან განზე გადადო, თავისი «Journal de Genève»-ის ნომერი, რომელიც შეადგენდა მის პოლიტიკურ სახარებას,

მისი ჩვენს დედა-ქალაქში სასწავლად ყოფნის შორეული დროიდან.

ცარიტულ რეჟიმის დროს ის ეკუთვნოდა ზომიერ სოციალისტურ თპოზიციას, როგორც ქართველთა უმრავლესობა, რომლებიც თავის პატარა მთა-გორაკებიანი საზოგადოებას დამოუკიდებლობისათვის იღვწოდნენ. ამ დიდ კულტურისა და ფრიად ფართე გონების ადამიანის მორალუ-



რის სექტორიტეტით იმდენად დიდი იყო მის თანამედროვეთა შორის, რომ ის უწყოყმანოდ არჩეულ იქნა რესპუბლიკის პრეზიდენტად, როცა საბჭოთა რუსეთში საბონტანოურად და თავისუფლად იცნო საქართველოს სრული დამოუკიდებლობა.

რესპუბლიკის პრეზიდენტობა არ იყო მხოლოდ საპატიო თანამდებობა: ის შეიცავდა მთავრობის ნამდვილ თავმჯდომარეობას ყველა მისი მძინე პასუხისმგებლობით.

ერთგულ მეგობარ-მომდევრებით გაარშემორტყმული ჟორდანია გულთანად შეუდგა საქმიანობას და ჩემი შეხვედრის დროს მასთან 1920 წელს, მას შესანიშნავი შედეგები მიღწეული ჰქონდა. უეჭველია, ახალი სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაცია უნაკლო არ იყო, მაგრამ სოციალური რეფორმები სრული განვითარების პროცესში იყო.

ეს ბრწყინვალე სამთავრობო კარიერა უხეზად დამახვრეტელ იქნა, როცა, ხელშეკრულების მიუხედავად, რუსულ ჯარებმა დაიპყრეს საქართველო და მოაქციეს უცხო უღლის ქვეშ. თავისი კოლეგებით პარიზში შეიხზნულ ჟორდანიას

არასდროს არ დაუკარგავს თავისი ქვეყნის აღდგენის იმედი. დაუმრეტელი სიფრთხილით და გატაცებით იცავდა ეს მეცნიერი ისტორიკოსი თავისი სამშობლოს წმინდა საქმეს და თავისი შეუდარეკელი გამბედავობით დაიმსახურა პატივისცემა ყველასი, ვინც მის სიბრძნეს და გულს იცნობდა.

ბევრთი ბედის უკუღმართობაში, ის იყო შექურა, რომლის მბრწყინავი სხივები ათობდა გადმონგეწილ ქართველობას და 15 იანვრისთვის მისი მეგობრები ემზადებოდნენ მისი 85 წლის თავის აღსანიშნავად, როცა სიკვდილმა მოსწყვიტა იგი მათ სიყვარულს და პატივისცემას.

გარდაიცვალა ნოე ჟორდანია ; გაქრა ეს დიდი ფიგურა, მაგრამ საქმე, რომელსაც ის ღრმა მონუცებამდ ემსახურებოდა, მიიზიდავს ახალ დამცველებს, რომლებიც მისი მაგალითით გამხნეგებულნი, იბრძობებენ თავის ქვეყნის განთავისუფლებამდე.

ჟან მარტენი.

«Journal de Genève»
14 იანვარი 1953 წ.

ნოე ჟორდანიას ბარდაცვალება

11 იანვარს, 1953 წელს პარიზში გარდაიცვალა 85 წლის მოხუცი, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჟორდანია. ის იმყოფებოდა გადმონგეწილობაში მას შემდეგ, რაც წითელმა ჯარებმა დაიპყრეს თავისუფალი საქართველო — 1921 წ.

ის იყო პირველი სახელმწიფოს დუმის დეპუტატი და მისი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე და ითამაშა დიდი როლი 1905 და 1917 წლის რევოლუციებში. მისი წინდახედულობის და ზედმიწევნით მოხერხებული პოლიტიკის წყალობით მოხდა, რომ საქართველომ და მთელმა ამიერ-კავკასიამ თავიდან აიცილა სამოქალაქო ომი.

1918 წელს ის გახდა სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის თავმჯდომარე და სამი წლის განმავლობაში—საქართველოს დაბურობამდე წითელი ჯარების მიერ, მართავდა თავის ქვეყანას

უაღრესად დემოკრატიული რეფორმების ვატატი რებით.

ენიგრაციაში ის აწარმოებდა გაათხრებულ პროპაგანდას მთელშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ და ამხელდა დასავლეთის წინაშე ისტორიაში ყველაზე უსამინდლეს ტორანიას. ის ქადაგებდა ყველა დაპრობილ ერიების თავისუფლებას და მოითხოვდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას.

ის იყო დიდი თეორეტიკოსი და ნიჭიერი მწერალი—და დასტოვა ნაშრომათა მრავალი ტომი. სამი თვის წინედ მან დაამთავრა თავისი მოგონებების წერა, რომლებიც ეხება მის ცხოვრებას და მოღვაწეობას სამოცი წლის განმავლობაში. ეს შრომა დაიბეჭდა ოთხი დღის წინად.

«Le Populaire»
15 იანვარი 1953 წ.



პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას ბარდაცვალების გამო

დამოუკიდებელ საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების ცნობამ მთლიანად უღრმესი მწუხარება უკრაინის სოციალისტურ პარტიის წევრებსა და თანამშრომლებში.

ნოე ჟორდანიას პიროვნებაში ქართველმა ხალხმა დაჰკარგა დიდი ხელმძღვანელი და მებრძოლი დამოუკიდებლობისათვის, ხოლო პროგრესიულმა კაცობრიობამ—დიდი მოსამაგე და შეუცვლელი მებრძოლი სოციალიზმისა და მშრომელ მასების ნაციონალური ემანსიპაციისათვის იმ ტოტალიტარულ უღლისაგან, რომელიც რუსულ ბოლშევიზმმა დაადგა თავისუფლების მოყვარულ ხალხებს.

ნოე ჟორდანია, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მოანდომა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის სამსახურს, 1918 წელში გახდა თავისუფალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

უკრაინის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის წევრების და თანამგრძნობთა სახელით უცხადებს უღრმეს თანაგრძნობას საქართველოს სოც.-დემოკრატიულ

პარტიას, ამ დიდი დანაკლისის გამო, როგორც მთელი ქართველი ხალხის, ისე მისი მშრომელი ნაწილისათვის.

ნოე ჟორდანიას ანდერძი და შეუწყვეტელი ბრძოლა დარჩება მაგალითად უკრაინელ მშრომელთათვის და მისი იდეალები გაუნათებენ ბუჩუკისა და გზას არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ განათლებულ კაცობრიობას.

ს. ლოვალი

ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

ოსიპ კრუტ—მდივანი *

* ამ წერილს წინ უძღვის რედაქციის მოწინავე ინგლისურ ენაზე, რომელიც თავდება ასე: „უკრაინელი ხალხის ძველი და წრფელი მეგობარი ნოე ჟორდანია მუდამ იცოცხლებს ჩვენს მეხსიერებაში.“

“Народна Воля”

(ამერიკის უკრაინელი

მშრომელთა ასოციაციის ორგანო)

22 იანვარი 1953 წ.

ნოე ჟორდანია

ეს მაღალი, მუდამ წელი-გამართული და თითო ადამიანი ათეული წელთა მანძილზე ფლობდა და მართავდა ქართულ საზოგადოებრივ აზრს. რა გინდ მინართულებს და ჯგუფის არ ყოფილიყავით, რა გინდ მოწინააღმდეგე არ ყოფილიყავით მისი პიროვნებისა და დასის, მაინც პატივისცემით შესდგებოდით ამ დიდი ადამიანის წინ და უფუძვლად გაიფიქრებდით: რას იტყვის ის დღეს, რა ვეზს აიღებს, ამ მტკივნეულ საკითხის რა დიაგნოზს დასვაძს და რა გზასნიღოს უპოვის ხალხს?

ხშირად მისი დიალექტიკა, მისი განუხრელობა, დაუნდობელი და მარტივი ლოლიკა, რომელსაც ყველა ფაქტები და მოვლენები კვლავ მატერიალისმის სათავეებისაკენ მიჰყავდა, ჩვენ და ბევრ სხვებსაც გვაბრაზებდა, ხან გვაშფოთებდა, მაგრამ ის ისევე ისე მეთუდრეკელი და გამართული იჩებოდა თავისი უღმობელი ანალიზით და მარტივით. თავისებურის ქართულით.

მას ყოველ მწვავე კითხვაზე დაუყონებლივ

მზად ჰქონდა სხარტი პასუხი—კოცხალი და სადღესაო ლოხუნვა, რომელიც მოაჩუქს და საკაცობრიოს ითვალისწინებდა და პირველ ქვას უდებდა.

ჩვენ მასზე სასტიკი იერიშები მიგვქონდა, მისი მტნება და სკოლა აცდენილად მიგვაჩნდა და ყველგან და ყველგან იქონებოდა პრიმატობას მოვითხოვდით... ხოლო ის კი აუღელვებლად, იმე ტონით და ლოლიკით და ხალხურად ენით ძველ გზას მიჰყვებოდა და უცნაურად ენერჯით რაზმავდა მიმდევართ.

ამ გზაზე ჩვენ ბევრი დავთმეთ ქრონულ და დემოკრატიულ ფრონტის ერთობისათვის, მაგრამ მთავარს ჩვენ ვერ დავთმობდით; ყოველ მოვლენას ვუდებოდით ქრონულად, აქედან განვივდიოდით, ეს გვასულდგმულვებდა... ამ საკითხში ჩვენ გვქონდა დიდი რწმენა, მაგრამ ამ რწმენას ერთგვარი შიშიც ახლდა. რწმენა, რომ ქართული ვინაობა, მისი ეროვნული პოტენცია ბოლოს, ამა თუ იმ ვხით ქართულ სახელმწიფოს



კარგბთან მიგვიყვანდა; მადრამ თან ვშიშობდით — ვაი, თუ ვიდრე ამი კარგბს მივადგებოდით, ქართველობამ სახე დაჰკარგა; გაჰქრა მისი ენა, ტრადიცია, ტერიტორია და ყველა ელემენტები, რაიც ერის ფენომენს სახსიათებს. ასე ფეიქრობდით ჩვენ... მაგრამ, ეს მაგარი და განუხრელი კაცი ჩვენს შიშს და პესიმიზმს არ იზიარებდა. ის ქართული ენით და კულტურით ტრიალებდა ჩვენს მშრომელ ხალხში და იქ იმდენ ძალას ჰკრებდა, რომ ვადაგვარება და ტერიტორიის დაკარგვა მას არ აფიქრებდა.

ამრიგად, ფრონტი გასართილებას ვერ იქმნა, ვერ მივალწიეთ. ამ კაცმა დათმობა არ იცოდა და ჩვენ მას ვერ შევხვდით...

ჩვენ ამას მტკივნეულად განვიცდიდით, ვწუხდით, მაგრამ ამ მწუხარებამ ის ვერ გახარა — პრინციპების საკითხში ულმობელი იყო და დარჩა.

ასეთი იყო ნოე ჟორდანი, რომელსაც მოწინააღმდეგენი ვერ მოერივნენ, მაგრამ ბოლოს გამარჯვება მაინც ერს დარჩა.

ის სასწაული, რაიც ჩვენ ასე ძნელად გვჯეროდა და რომელიც ნოე ჟორდანიას ასე მტკიცედ სწამდა, მართლაც მოხდა. დიდი რუსეთის რევოლუციის სინამდვილედ იქცა. ეს თითქოს ურყევი და მძლეთა-მძლე იმპერია, სხვებთან ერთად ჩვენც რომ შთანთქმეს გვაიხრებდა, ერთბაშად ჩაიკეცა, გადაყარავდა.

თებერვალმა მანისი გაათენა, მაგრამ ვხა მძიმე, ხიფათიანი იყო. უდიდეს სიფრთხილეს ითხოვდა.

ერთბაშად ყველაფერი აირი - დაირია; ანარქიით მოცული უამრავი რუსული ჯარი ფრონტიდან მოიხსნა, მრისხანე ტალღად საქართველოში შემოიჭრა და ეხლა მისი საჭურველი ტფილისზე და ქართველობაზე იყო მომართული.

და ამ საშინელ განსაცდელის ეამს არა მარტო ქართველების, არამედ ამიერ-კავკასიის ყველა ერების თვალში ამ კაცისაკენ იყო მიპყრობილი. ამ დროს ნოე ჟორდანი ამკარავდა და უდაოდ ფლობდა ჩვენი ერის დიდ ლეგიონებს; და ეს ის ერი იყო, რომელსაც გააჩნდა დიდი წარსულთან დიდი ტრადიცია, უნარი და ცოდნა სახელმწიფო ხელოვნებისა. ამ ერის ხმაღმა და დიპლომატიამ ქართველთა სახელმწიფო მეცხრამეტე საუკუნემდე მიიყვანა და აღმოსავლეთის ფანატიზმისაგან იხსნა, და ეს ერი, ტერიტორიალურად კვლავ გამართლებული და ნაციონალურ შეგნებით აღჭურვილი, ნამდვილი მესაჭე და ბელადი გახდა კავკასიის ერებისა.

ამით ქართველობას უდიდესი სიმძიმე და პასუხისმგებლობა დააწვა... და ეს პასუხისმგებლობა და სიმძიმე მაშინ ნოე ჟორდანიამ გაიღო თავის გამართულ ნებრებზე და მას ამაში არავინ შეეძვებია.

ყველაზე უწინ ქართულმა თავად-აზნაურობამ გამოიჩინა მტკიცე ეროვნული დისციპლინა და „მუშათა პარტიის ლიდერს“ გვერდში ამოუდგა. ასე გაჰყენნ მას პარტიები ვერ ქართული და შემდეგ დანარჩენ ერებისა.

ეს გახლდათ ნდობა ძველ, ქართულ ატავისტურ უნარისადმი, მისი სახელმწიფო სიბრძნისადმი...

და ნოე ჟორდანიამ ეს ნდობა გაამართლა. ანარქიული, რუსული ტალღები ტფილისს და ქართველობას რომ ასკვდებდა, ნოემ დიდის სიფრთხილით და მოხერხებით სხვა კალაპოტით განაწინა და ერი და ქვეყანა ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. ყველამ თავისუფლად აღიოსუნთქა. აი, ეს იყო მაშინ მთავარი და ამ სათავედან უნდა წარმოდგენილიყო ყოველი ის, რაც შემდეგ მოხდა. კავკასიის ერების იმედის მზე აღმოზრწყინდა, მათი თავისუფლები გზები გაიხსნა.

და აი, აქ ჩვენ შევხვდით ნოე ჟორდანიას, შევხვდით მტკიცედ — ერთგულებით და სიყვარულით.

ყოველივე, რაც ათეულ წელთა მანძილზე გვაშორებდა, ერთბაშად უშინარსო და უხარო გახდა. ეს ახსოვდა იმ დროს მონიში, მატერიალისმი და დიალექტიკური ლოღიკა?

აქ, სუფერენად ფლობდა ერთი ლოღიკა: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყდნოს“...

და მაშინვე მტკიცედ ჩაისახა ეროვნული სახელმწიფოს ემბრიონი; მაგრამ უცხო ჯარები და მომლაგრებელი ოსმალეთის ძალები ათასგვარ ხიფათში ავდებდა ამ ნორჩ ჩანასახს. ყოველი დღე, ყოველი საათი სახალი და უმძიმეს დაბრკოლებების წინ აყენებდა ჩვენს სუსტ და უიარაღო ქვეყანას. და აქაც ყველა იმდენ ნოე ჟორდანიას მისჩერებოდა და მის ცოცხალ თვლებში ეძებდა იმედს და გზას. ის გახდა უდავო მესაჭე და უდიდეს ტალღების მოხეტქებას დიდის მოქნილობით და ხელოვნებით აცდენდა ქართულ პატარა ნავს.

მასწოვს ჩრდილო-კავკასიიდან ჩამოსული დევლეგაცია წითელთა და მოწითალოთა, ჯარებით დახმარებას გვევდრებოდა შემოსეულ თეთრგვდიელთა წინააღმდეგ. საბჭოები ჯარის კაცთა და მუშათა, აღმასრულებელი კომიტეტები და განსა-

კუთრებით, შემოხიზნული ელემენტები ლელავენ და ტოკავენ. ნოე უორდანიას ავტორიტეტული განცხადება ამ ტალღას აცხრობს. საკითხი გადაეცემა კომისიას, მახსოვს — მ. ცხაკაია გვაჩქარებს — სასწრაფოთ მივაშველოთ ძალები „ვანდების“ წინააღმდეგ საბრძოლველად. პაუზის დროს კომისიის წევრებს — ესენი ი. ქარცივაძეს და მე (ს.-ფედ.) განზე გავვიხიზნოთ და კატეგორიული ტონით გვიჩვენებს, საიდუმლოდ გვაფრთხილებს: „არ აჩქარდეთ... ხომ იცით ჩვენ რა ცოტა ძალები გავაჩნია ამ დროში. არც ერთი კაცი არ მისცეთ“. აქ გამოჩნდა მისი ნათელი სახე. ნოე უორდანიამ საზღვარი დასდო ჩვენსა და ჩრდილოეთს შორის. საქართველო ბუნებრივად შემოიზღუდა... მეორე ამბავი: ფრეილინის ქუჩაზე, ქართველი თვად - აზნაურთა ყოფილ ბანკში, სადა ეროვნულ საბჭოს წევრები ეიკრიბებოდით, იმ სანატორიელ მანქანაში მუშაობა გაცხოველდა. განუწყვეტელი სხდომები და ბჭობა ხან კომისიების, ხან ინტერპარტიულ ორგანოების ამიერ-კავკასიის მთავრობის წევრებთან.

აზრი იჭედება: ქართული სახელმწიფო უნდა დაიბადოს, საქართველო უნდა აღსდგეს, ეს უკვე ყველა ქართველისათვის უდავოა. აქ პარტია აღარ არსებობს; ამ ნაკადში ყველა შედუღებული ვართ, მას მივყვებით და ვიჩქარით, მაგრამ ეს მოხუცი, ყველაფერს რომ უდავოდ ფლობს, გვაფრთხილებს: ჯერ კიდევ უნდა უმტკივნეულოდ ჩატარდეს ზოგი სამზადისი. ამ დიდ საქმეს უნდა მყაროს საფუძვლით დავხვდეთ.

და ჩვენს აჩქარებაზე და მოუთმენლობაზე ის გვიპასუხებს: „ნუ ლელავთ ბატონებო, მოთმინება!... თუ კი 117წელი გვიცდია, ეს ორიოდ დღე კიდევ დავიცადოთ“... და მას არც შედავებია ვინმე.

გულში ყველა ზეიმა ატარებდა, რომ ნოე უორდანიამ მომავალი 26 მთხილი ძველ საქართველოს და მის უფლებებს გადააბა. 117 წლის ლოდინი ერის აღდგომისათვის, ამ მთხილი უნდა სრულყოფილიყო... და ასეც მოხდა.

წინანდელი გარეშე, ერთი დასის ბელადი და ჩვენი უღმობელი მოწინააღმდეგე, ყველა ქართველისათვის ერთბაშად ახლობელი და წინამძღოლი გახდა.

ებლა ის პარტიის და დასის ბელადი არ იყო, ის იყო ქართველებში ყველაზე მეტი სწავლით შემოსილი და ის შეიქმნა მკვდრებით აღმდგარ საქართველოს პრეზიდენტი.

ნოე უორდანიას პარტიულ ბრძოლებისა და დამსახურების შესახებ ზოგი რამ დაიწერა, ბევრი კიდევ დაიწერება, მაგრამ ეს მთავარი არაა...

არის ერთი რამ, რაც ამ კაცს გამოჰყოფს, თვალუწვდენელ სიმალღვეზე აიყვანეს და საქართველოს სუკცედიეთა პანთეონში ადგილს მიუჩენს. ეს არის ნოე უორდანიას შესვლა „ქართლის ცხოვრებაში“. ამ „ქრონიკებში“ ეს მოხუცი წაართვა მის დასს, მის პარტიას და აიყვანა და დასვა საქართველოს ძველ მესვეურთა და სუვერენთა გვერდით.

ნოემ ქართველ ერს ახარა და მთელი ქვეყანა აშცნო, რომ 117 წლის წინ „დახურული“ „ქართლის ცხოვრება“ გაიხსნა და გაგრძელდა.

და ჩვენი მემტყანე, რომელმაც ბატონიშვილი ვახუშტის, დავითის და ბაგრატის „ცხოვრებაი ქართლისაი“ გააგრძელა, ჩასწერს:

„... და შემდგომ გიორგი მეცამეტესა, რუსეთის მიერ ღებერნიად ქცეული სახელმწიფო კვლავ აღსდგა და დამოუკიდებელ იქმნა 26 მთხის 1918 წელს და მისი პრეზიდენტი იყო ნოე უორდანი“...

„ქართლის ცხოვრება“ დიდი, გრძელი და ბრძოლებით სავსე გზაა. ეს გზა არც ებლა დამთავრებულა. გიორგი მეფეს დაგვიანებით უკან პრეზიდენტი ნოე მოჰყვება. და ჩვენ ვიცით, რომ მალე მას სხვა პრეზიდენტები გაჰყვებიან „ქართლის ცხოვრების“ გრძელ გზაზე ახალ მნათობად რომ გაივილიან.

დიდება ნათ, ყველას!
აკაკი პაპავა.





უზროსისა და უმეტისის ხსოვნისათვის

(ქ ნ ო ე შ ო რ დ ა ნ ი ა)

სიცოცხლეს მაგას ვეძახი,
სული ზრუნვაზე დალიოს.

ლათინური ანდაზა *de mortuis aut nihil aut bene* არ არის მისაღები უსათუო დებულებათ. მასში ჩანსაკენილნი არიან კონკრეტული შემთხვევები, როცა გარემოებანი ერთგვარათ სავალდებულოთა ჰქმნიან ან არაფრის თქმასა ან განდიდებითი მესხმას. უფრო ბრძნულია, ხოლო არც ისე ადვილათ შესათვისებელი და განსარსებელი, შოთას ნაფიქრი: „თქმა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლათ“.

ნოე უორდანიის გარდაცვალებას გასმო, თქმა არ უნდა, მრავლათ დაიწერება თავისიანებისა-განაცხადი და გარეშეთავან. უფროსისა და უმეტესისა განსვლა ქართველთა რიგებიდან აღმძვრელია მწუხარებასთან გადამბით სხვა პაზრებისა, საქართველოს სახელმწიფოური ბედთან შეკავშირებულინი რომ არიან და ყოველივე ქართველის დღემუდამი ზმანებათ გარდაქცეულნი.

ჩემი მორიდებული გამომხატურება უპირველესი ქართველისა და ერის წინამძღოლის დაკარგვის დამწუხრებულ დღეთაშინა ვერ აუცილს ვერც ჩვენს თავზე დამტყდარ გლოვასა და ვერც ამ გლოვასთან თანამავალი „ქართლის ბედის“ ამოცანება.

გასული საუკუნის ათეულსა და ასე გასწვრივ მიმდინარის ნახევარის სიგრძეზე ნოე უორდანიის სახელი წარუშლელათ ამოკვეთილი არის ქართველი ერის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრების ყველა დარგში. შეცდომს იქნება თუ დავსკვნით, რომ ნოე უორდანიის სახელმძღვანელობა შეკავშირებული ყოფილიყოს მხოლოდ მის ბელადობასთან სოციალდემოკრატიულ პარტიასში. ნოე უორდანიის იყო თავდაპირველათ ქართველი მოღვაწე, ქართველი მოპაზროვნე და ქართული სულითვე ასაზრდოებელი ქართველი მწერალი.

ნოე უორდანიის სახლგაზრდობიდანვე ქართულ საქმეს ემსახურებოდა სიტყვითა და წერითაც. ჩვენი ხალხის ერთმა ნაწილმა მასში ჰპოვა განსახიერება იმ საზოგადოური იდეალებისა, რომლებიც—ასე ეკონა ბევრთაგანს—შესაძლებლათ გაჰხდიდნენ სოციალურ ურთიერთობის გაუმჯობესობასთან ერთათ ქართველი ერის მთლიანათ განთავისუფლებასაც სახელმწიფოურათა და პო-

ლიტიკურათ. ასეთი შემეცნებით მიიმართებოდა „ნესამე დასის“ სოფლებედა, ნოე უორდანიის მუყაითური ხელმეწყობით იდეოლოგიურათ გამაგრებული და გაშუქებული.

ამ მიმართულებას, რომელიც თავის სოციალ-ეკონომიური შინაარსით მარქსიზმით იყო ასაზრდოებელი, უმაღვე აღმოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი ჩვენი ხალხის იმ ნაწილში, რომელიც იმავე სოციალ-ეკონომიური მიდგომით შეიძლება „კონსერვატორათ“ დავსახოთ. იდეოლოგიური დავის სიმწვავე „შედვებულნი“ იყო ილია ჭავჭავაძისა და ნოე უორდანიის ნაკრ პოლემიკაში და მასთან გადაბმით არჩილ ჯორჯაძის „ნეიტრალსა“ და შემაჩივებელ პოზიციაში...

მომწიფდნენ დრონი. შესხვაფერდნენ გარემოებანი. ჟამთა ტრიალში ამოიჭრნენ საქართველოს ისტორიული სახეობის აღდგენის საშუალებანი; მიტაცებულ მის სუტერენობის მისკენვე შემობრუნება და დამკვიდრება. ქართველობა იდგა გადამწყვეტ ისტორიულ ხედრის წინაშე. რას ჰფიქრობდა „მესამე დასი“ და საითკენ მიიწყო და? იქნება ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ მის მმართველსა და მოწინავე ფენებში არ იყო ერთპაზროვნება, პირიქით, იყო შერყეობა, მარქსიზმის „ინტეგრალობით“ აზიდულა, ისტორიულ ამოცანათა ცალმხრივი შეცნაურებით. ასეთივე პაზრი სხვა მოტივებით შეპარებული იყო ქართულ გეზიდან აცდენილ სხვა წრებშიაც.

გადამწყვეტ ისტორიულ ამბავთა დენაში ავტორიტეტით მოსილ დიდი პიროვნებისა, მასთანვე შემკრებილობითა ნებისყოფით მეთაურათ აღიარებულის შეხედულებას საქვეყნო საქმეთა ზედა ადვილათ შეუძლიან შეაყირავოს ხალხის ძიერ ტრადიციულათ შეთვისებული იდეა, რა საკითხსაც უნდა ეხებოდეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საქირო გახდა მინანანი, ასე ვთქვათ, სკეპტიციზმის გადალახვა და გარეგანი დაბრკოლებათა გამხნევებული უფულებელყოფა. ეს ორივე დასძლია ნოე უორდანიის უსაზღვრო ავტორიტეტმა. ნოე უორდანიის რომ არ ყოფილიყო, საქართველოს დამოუკიდებლობა იქნებ ვერც კი გამოცხადებულყო!..

მისახვედრია, რომ უფლებამოსილ საქართველოს მესვეურათ უნდა ყოფილიყო ის, ვინც ქვეყანას ეს უფლება დაუბრუნა და განგონა მითი ჩრდილოეთის ვნა შეტრუნდა დასავლეთისკენ. საქართველო გადაება ევროპას.

როდესაც ბოლშევიკ რუსეთმა ჩვენი მეზობლების წაქცევით რკალი შემოარტყა საქართველოს და ჩვენს სახელმწიფო მსუქრობებს ამკარათ დაემუქრა, დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომაზე ნოე ყორღანისმ მისთვის ჩვეული აფორიზმებით შეზავებული სიტყვა - განცხადება ასე დაამთავრა: ჩვენ გვიჩვენია დასავლეთის იმპერიალიზმი აღმოსავლეთის ფანატიზმს!

მოყვარენიცა და მტრებიც მიჰხვდნენ, თუ რა ჰაზრი იყო ჩაქსოვილი საქართველოს პრეზიდენტის ამ მანიფესტურ შემოძახილში...

მთაწმიდის პანთეონის ნაცვლათ, საქართველოს პირველი კაცი ჩაეხვეწა უცხო მიწაში! მას თანჩაჰყვა ერთობლივი ქართველობის სცედიანი გლოვა. უამი არდაიკონებს: ნამადავითი მიიბარებს მის ცხედარს. მტკვრის მოდულუნე ტალღები უვალობებენ საუკუნო ხსენებას...

რ. ინგილო.

მადლოვის წერილი

ქანი ყორღანისა და მთელი მისი ოჯახი გულითად მადლობას უძღვნის თავის თანამემამულეებს და უცხო მეგობრებს ძვირფასი მეუღლის, მამისა და სიმამრის **ნოე ყორღანის** გარდაცვალების გამო თანაგრძობისათვის.

მთელი რიგი წერილებისა განსვენებული ნოე ყორღანისა შესახებ, უადგილობის გამო ამ ნომერში ვეღარ წავიდა.

რედ.

ქართულ ეკლესიაში

კვირას, 22 თებერვალს, ქართულ ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი ნ. ყორღანისა გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე. პანაშვიდს ბევრი ქართველები დაესწრო.

ნოე ყორღანის სამოქალაქო პანაშვიდი პარიზში

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის გამგეობს, ყველა პოლიტიკურ ფაქტებთან შეთანხმებით, აწყობს გარდაცვალებული პრეზიდენტი ნოე ყორღანისა სამოქალაქო პანაშვიდს.

მოწვეული იქნება სტუმრები, მეგობრები და ნაცნობები. განძახებულია ამ სამგლოვიარო დღისათვის პრეზიდენტის მოკლე ბიოგრაფიის გამოცენა ფრანგულ ენაზე.

ღრო და ადგილი იქნება გამოცხადებული.

„ქართველი“

ამ სათაურით დაიბეჭდა და გავრცელდა მიმართუა ქართველი ურისადმი ნოე ყორღანისა გარდაცვალების გამო. მიმართვას ხელს აწერენ საქართველოს ერთიანი მთავრობის წევრები: ბ.ბ. ევ. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი და აკ. ჩხენკელი.

ტექსტი ამ მიმართვისა დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

ყოვნალ „მებრძოლი საქართველო“-ს რედაქცია მოთავსებულია:

9, Rue JOBBÉ DUVAL. — Paris 15.
Tél.: VAU. 25 - 14

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს აღნიშნული მისამართით,